ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 08 2017 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 204-ბ

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის 2017 წლის 21 ივლისის 197-ს ბრძანებაში „უნივერსიტეტში 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" ცვლილებისა და დამატების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-8 და მე-10 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის 2017 წლის 21 ივლისის 197-ს ბრძანებაში „უნივერსიტეტში 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" და თანდართული დანართები დამტკიცდეს ახალი რედაქციით .

2. 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება უნივერსიტეტის სკოლების (ფაკულტეტების) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი N1-ის შესაბამისად.

3. 2017 – 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.

4. დადგინდეს მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

5. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტარატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

8. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

დანართი N1

2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე):**

ა) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **50 ადგილი;**

ბ) საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **25 ადგილი;**

გ) საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **15 ადგილი;**

დ) ენათმეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**

ე) ქართული ლიტერატურის ისტორის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 10 ადგილი;

2. **ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

ა) ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯბენტში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**

ბ) ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი.**

გ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**

3. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**

ა) საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **10 ადგილი;**

ბ) მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**

გ) მაღალი ენერგიების თეორიული ფიზიკა - ველის კვანტური თეორია და ელემენტარული ნაწილაკების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**

4. **სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**

ა) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი;**

ბ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **20 ადგილი;**

შენიშვნა: *გამოცხადებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩასარიცხ კანდიდატთა რაოდენობა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდგომ იქნება არანაკლებ 5-ის.*

დანართი N2

2017-2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები:

- მაგისტრატობის კანდიდატთა რეგისტრაცია - 2017 წლის 29 აგვისტო - 11 სექტემბერი;
- გამოცდა სპეციალობაში - 2017 წლის 13 სექტემბერი;
- გამოცდა უცხო ენაში ქართული ლიტერატურის ისტორიის, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტში), ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის, ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების. სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის, საჯარო მმართველობისა და სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე შემსვლელთათვის - 2017 წლის 14 სექტემბერი;
- გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2017 წლის 18-სექტემბერი;
- გამოცდის შედგების აპელაცია 2017 წლის 18-20 სექტემეგრი, აპელაციის შედეგების გამოცხადება - 22 სექტემბერი;
- ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 2017 წლის 19-25 სექტემბერი;
- ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2017 წლის 25 სექტემბერი.

დანართი N3

მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და გამოცდის ტესტის ტიპის თაობაზე;
3. შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ასლი, (*2017 წლის კურსდამთავრებულებისათვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*);
4. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის).
8. 2 ფოტოსურათი 3X4, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;
9. სტუდენტის სარეგისტრაციო ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).